



დანაშაულის დაფარვა და შეუტყობინებლობა

საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება რიგი დანაშაულების მიმართ ზრდის ლატენტურ (ფარულ) დანაშაულთა რიცხვს, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ მდგომარეობაზე. საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება აყალიბებს იმგვარ მენტალიტეტს, რომ დანაშაულის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინება სოციალურად მიუღებელ ქცევად წარმოიჩინდება.

სწორედ ამიტომ, თითოეული მოქალაქის ჩართულობას დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან, მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ შესაბამისი უწყებების დროულად ინფორმირება და მათთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება, საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე და დანაშაულის პრევენციაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისა და დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის.

განსახილველი დანაშაულები თავისი მნიშვნელობით გამორჩეულია, რადგან პირი, რომელიც ფარავს სხვის დანაშაულს ან სამართალდამცავ ორგანოს არ ატყობინებს მომხდარი დანაშაულის შესახებ, ნებით თუ უნებლიედ ხდება დამნაშავის თანამზრახველი, რადგან უარს ამბობს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და ხშირ შემთხვევაში, ხელს აფარებს დამნაშავეს.

აღნიშნული დანაშაულები ლატენტური (ფარული) ხასიათისაა. ლატენტურობიდან გამომდინარე, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, სამართალდამცავი ორგანოებისთვის რთულია ამ დანაშაულებთან ბრძოლა.

დანაშაულის დაფარვა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს დანაშაულის დაფარვისათვის.

დანაშაულის დაფარვა ნიშნავს, **წინასწარ შეუპირებლად** მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვას. დაფარვა ყოველთვის ხდება დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

დანაშაულის დაფარვაში იგულისხმება დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების, ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების გადამალვა.

- მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის დაფარვის დროს, დამნაშავე წინასწარ არავის პირდება ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელებას. დანაშაულის წინასწარ შეპირებული დაფარვა განსხვავდება დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვისგან.

წინასწარ შეპირებული დაფარვა

- **წინასწარ შეპირებული დაფარვა** არის დანაშაულში თანამონაწილეობა, კერძოდ, დახმარება. მაგალითად, თუ გიორგი წინასწარ დაპირდა ირაკლის, რომ მისი საცხოვრებელი სახლის სარდაფში შეინახავს ირაკლის მიერ ნაქურდალ ნივთებს, აღნიშნული წარმოადგენს არა დანაშაულის დაფარვას, არამედ - ქურდობაში დახმარებას.

წინასწარ შეუპირებელი დაფარვა


- პირის მიერ დამნაშავის **წინასწარ შეუპირებელი დაფარვა** გულისხმობს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, მაგალითად: თავშესაფრის მიცემას, გარეგნობის შეცვლაში, გადაადგილებაში დახმარებას, სახლში დამნაშავის, დანაშაულის საგნის ან იარაღის დამალვას, გვამის გადამალვაში დახმარებას, სისხლის ან სხვა კვლების განადგურებას და ა.შ. მსგავსი მოქმედებების ჯაჭვი, საბოლოო ჯამში, ართულებს დამნაშავის სამხილებლად სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიან საქმიანობას.

დანაშაულის დაფარვა **სამი ნაწილისგან** შედგება:

- ✓ პირველ ნაწილში გამონაკლისი სახით მოცემულია ის ნაკლებად მძიმე დანაშაულები, რომელთა დაფარვა (მაგ: მითვისება ან გაფლანგვა) იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
- ✓ მეორე ნაწილი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის და სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 1-დან 4 წლამდე.
- ✓ მესამე ნაწილი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის და სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 2-დან 6 წლამდე.

დანაშაულის შეუტყობინებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის.



დანაშაულის შეუტყობინებლობის მოტივი შეიძლება იყოს სხვადასხვა - **სიმხდალე, ანგარება, შურისძიების შიში, ნათესაური გრძნობები და სხვა**. კანონში არ არის მითითებული დრო (ვადა), რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს შეტყობინება დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ. ცხადია, ეს ვადა სხვადასხვაა და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, რის საფუძველზეც უნდა შეფასდეს, პირს რეალურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, შეეტყობინებინა დანაშაულის მომზადების ან/და ჩადენის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის.

შეტყობინება დანაშაულის მომზადებისა და ჩადენის შესახებ აუცილებელია გაკეთდეს უმოკლეს ვადაში.

პირი პასუხს აგებს შეუტყობინებლობისთვის, თუ მას რეალურად ჰქონდა შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენის შესახებ ეცნობებინებინა სათანადო ორგანოებისთვის. ასეთი შესაძლებლობის არარსებობა გამორიცხავს პასუხისმგებლობას.



პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ შეუტყობინებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით, პირზე ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გამო.

დანაშაულის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინება **სარწმუნო ინფორმაციას** უნდა ეყრდნობოდეს. მარტივად რომ ავხსნათ, ინფორმაცია, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, ნამდვილი უნდა იყოს. ეს გულისხმობს კონკრეტული, სარწმუნო ინფორმაციის ცოდნას დანაშაულის ხასიათსა და შინაარსზე ან იმ პირზე, ვინც ამზადებს ან ჩაიდინა დანაშაული, ან/და ორივე გარემოების შესახებ ცოდნას. ცოდნის ნამდვილობა შეიძლება ემყარებოდეს პირად დაკვირვებას, რომლის თვითმხილველიც პირი გახდა, ან ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს თანამონაწილისგან, დოკუმენტების მეშვეობით, კერძო მიმოწერიდან და ა.შ.

დანაშაულის შეუტყობინებლობა **ორი ნაწილისგან** შედგება:


- ✓ პირველი ნაწილი სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის და სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 2-დან 6 წლამდე.
- ✓ მეორე ნაწილი სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის და სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 3-დან 7 წლამდე.

სისხლის სამართალი ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ახლო ნათესავის მიერ დანაშაულის დაფარვასა და შეუტყობინებლობას პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად თვლის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განისაზღვრა, რომ დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება შემდეგ პირებს - მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

სტატისტიკური მონაცემები

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით, 2018-2019 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე და 376-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობრივი მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად:



დანაშაულის დაფარვისათვის, საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა 2018 წელს დაიწყო 14 (თოთხმეტი) პირის მიმართ, ხოლო 2019 წელს - 4 (ოთხი) პირის მიმართ.

დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა 2018 წელს დაიწყო 44 (ორმოცდაოთხი) პირის მიმართ, ხოლო 2019 წელს - 51 პირის მიმართ.

დასკვნა

დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობის დასჯადად გამოცხადებით, კანონმდებელი ცდილობს საზოგადოებაში აამაღლოს სამართლებრივი მართლშეგნება, მაქსიმალურად შეამციროს ლატენტური დანაშაულების რიცხვი და გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

დამნაშავეობასთან ბრძოლა წარმატებული ვერ იქნება, თუ მოქალაქეები არ დაეხმარებიან სამართალდამცავ ორგანოებს. ზოგიერთი ადამიანი, აღნიშნულს პირად მორალურ

ვალდებულებად აღიქვამს, ნაწილი კი - არ იაზრებს მის წილ პასუხისგებლობას დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ და ამით ხელს უშლის სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის დროულად გახსნასა და დამნაშავის მხილებაში.

ნუ დაფარავ დანაშაულს!

ნუ დააფარებ ხელს დამნაშავეს!

მოიხადე შენი მოქალაქეობრივი ვალი და დროულად მიმართე
შინაგან საქმეთა სამინისტროს!